ორი მატჩი - ორი გამარჯვება

24 აგვისტო გაიმართა სსრ კავშირის 45-ე საფეხბურთო ჩემპიონატის 23-ე ტურის კალენდარული მატჩები. საქართველოს გუნდებმა - თბილისის "დინამომ" და ქუთაისის "ტორპედომ" წარმატებით ითამაშეს და მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვებები ჩაიწერეს სატურნირო ცხრილში.

"ყუბანი" (კრასნოდარი) – "დინამო" (თბილისი) 0:2 (0:1).

კრასნოდარი. "ყუბანის" სტადიონი. 24 აგვისტო.

"ყუბანი": პილგუი, შაპკინი (კალეშინი), სემენიუკოვი (ანდრეიჩენკო), ლაგოიდა, შიტიკოვი, კოლესოვი, ბუტურლაკინი, კობზევი, ბაგაპოვი, ფომიჩევი, ჰასანოვი.

"დინამო": მჭედლიძე, ხიზანიშვილი, ჯოხაძე, ხინჩაგაშვილი, ანდღულაძე, დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ცავა (მესხი), შენგელია (არზიანი).

მსაჯი: დ. დორონინი (მოსკოვი).

გააფრთხილეს ანდღულაძე.

დუბლიორები - 2:1. თბილისელთაგან ბურთი 11-მეტრიანით გაიტანა ფრიდონიშვილმა.

თბილისელებს ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი აკლდათ: ავადმყოფობის გამო ვერ ითამაშა ჩივაძემ, სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობაში, საზღვარგარეთ იმყოფება მუჯირი, ადრე მიღებული გაფრთხილებების გამო მინდორზე ვერ გამოვიდა ჟვანია, ჯერ კიდევ არაა მწყობრში კაკილაშვილი. მიუხედავად ამისა, ჩვენმა გუნდმა საუკეთესოდ ითამაშა და დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია მეტოქესთან, რომელიც საკუთარ მოედანზე განსაკუთრებული მონდომებით და მობილიზებით იბრძვის.

დინამოელთა საერთო წარმატებას დიდად შეუწყო ხელი იმან, რომ უკვე დასაწყისში, მე-3 წუთზე, ცავამ კარგად გამოიყენა შენგელიას გადაცემა და ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში - 1:0. გატანილი გოლის შემდეგ დინამოელები კვლავ ენერგიულად უტევდნენ, "ყუბანის" კართან რამდენიმე კრიტიკული მომენტი შეიქმნა.

შუა ტაიმში მასპინძლებმა ხელთ აიღეს ინიციატივა და მეტად სახიფათო იერიშები განავითარეს მოპირდაპირე კართან, მაგრამ შეთანხმებულად, საიმედოდ ითამაშეს "დინამოს" მცველებმა და მეკარე მჭედლიძემ.

ყუბანი" შესვენების შემდეგაც შეეცადა მიეღწია უპირატესობისთვის, მაგრამ თბილისელებს არ შეუწყვეტიათ იერიშები, არ დაუხევიათ დაცვაში. ამ აქტიური თამაშის შედეგი იყო მასპინძელთა კართან შექმნილი რამდენიმე საგოლე მომენტი. ბურთის გატანა შეეძლოთ გუცაევს, სვანაძეს, ცავას.

62-ე წუთზე, თბილისელთა ერთ-ერთი იერიშის დროს, "ყუბანის" მცველმა ხელით ითამაშა თავის საჯარიმო მოედანზე, რისთვისაც კ. დორონინმა პენალტი დანიშნა. შენგელიას დარტყმამ ზუსტად მიაღწია მიზანს - 2:0.

მატჩის დამთავრებამდე დრო საკმარისზე მეტი იყო, თბილისელები კვლავ აქტიურად თამაშობდნენ მეტოქის ნახევარზე. მეტიც: მწვრთნელებმა ცავას ნაცვლად მინდორზე ახალი თავდამსხმელი გამოიყვანეს - მესხი, მასპინძლებს არ ჰქონდათ საშუალება ტერიტორიული უპირატესობისთვის მიეღწიათ და ხანგრძლივი შეტევები ეწარმოებინათ.

თამაშის დასასრულს კრასნოდარელი ფეხბურთელები ბევრს ეცადნენ, მაგრამ დინამოელებმა წარმატებით გაართვეს თავი სიძნელეებს და შეინარჩუნეს გამარჯვება.

"ლელო", 26 აგვისტო, 1982 წ.